ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 37
30/04/2019

37-48-4-201904301208

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შემცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შეასხებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

   ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურაში მდებარე 4140 მ^2 მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობების (N1 შენობა 381 მ^2 და N2 შენობა 630 მ^2) საწყისი საპრივატიზებო საფასური 10 000 ლარი შემცირდეს 15%-ით და განისაზღვროს 8500 ლარით;

   ბ) ავტომანქანა ნივა ვაზ 21214, სახელმწიფო ნომერი LCL 878, გამოშვების წელი 2007, საწყისი საპრივატიზებო საფასური 2400 ლარი შემცირდეს 50 %-ით და განისაზღვროს 1200 ლარით;

გ) ავტომანქანა შევროლე ლაცეტი, სახელმწიფო ნომერი FOT 355, გამოშვების წელი 2006, საწყისი საპრივატიზებო საფასური 1400 ლარი შემცირდეს 50 %-ით და განისაზღვროს 700 ლარით;

2. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს, განახორციელოს ფასების ცვლილება ამ განკარგულების პირველი მუხლის შესაბამისად.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.(ი. ლომთაძე).
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო